საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები დემოკრატიულად მიმდინარეობს

საქართველოში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე დამკვირვებელთა შორის მყოფი სუამის საპარლამენტო ასამბლეის სადამკვირვებლო ჯგუფის თავმჯდომარემ, აზერბაიჯანის მილი მეჯლისის დეპუტატმა ელტონ მამედოვმა განაცხადა, რომ საარჩევნო უბნებზე, რომლებსაც ისინი აკვირდებიან, არჩევნები დემოკრატიულად, გამჭვირვალედ, საქართველოს საარჩევნო კოდექსის და კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს, მცირე ტექნიკური ხარვეზების მიუხედავად, ჯერჯერობით არანაირი დარღვევა არ ყოფილა.